# საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობის წლიური ანგარიში

*თვითმმართველი ერთეულის დასახელება:* **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

*საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:* **ნატალია ზოიძე**

*საკრებულოში დაკავებული თანამდებობა:* **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

*ფრაქციის წევრობა:* **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“**

*კომისიის (კომისიების) წევრობა:*

**ა) განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისია**

**ბ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია**

*არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით):* **პროპორციული**

*საანგარიშგებო პერიოდი:* 2023 **წელი**

---

**განხორციელებული საქმიანობები:**

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: 10 **სხდომა**

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: 108 **საკითხი**

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა: 0

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა: 18

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: 134

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა: 0

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები: 0

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: **35**

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: **120**

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

- „ხელმისაწვდომი საცხოვრისის" საკითხები;
- უსახლკაროთა რეგისტრაციის წესები;
- შეჩერებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხი;
- შემოღობილი ტერიტორიის გარკვეულმონაკვეთზე წყლის მიწოდების საკითხები;
- უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები; პარკირების საკითხები;
- სანიაღვრე ქსელთან დაკავშირებული საკითხები;
- გამწვანების საკითხები;
- მშენებლობებით გამოწვეული პრობლემები;
- ამხანაგობების საკთხები;
- ჯანდაცვის საკითხები;
- მატერიალური დახმარების საკითხები;
- დეზისენქცია/დერატიზაციის თემები;
- მაწანწალა ცხოველებით გამოწვეული პრობლემები;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის საკითხები;

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

დავესწარი საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" 14 სხდომას, რომლებზეც განიხილებოდა როგორც საკრებულოს სხდომაზე გასატანი საკითხები, ასევე მუნიციპალიტეტის საჭიროებები.

ჩავატარე მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომას.
**ქალაქ ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამებისა, ქვეპროგრამების თუ ღონისძიებების საკონკურსო კომისიების წევრი ვარ. კერძოდ:**

- ქალაქ ბათუმის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს წევრი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა", ღონისძიება „წლის ხელოვანის" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა", ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსების" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა", ღონისძიების „გამოფენა გასტროლების" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა", ღონისძიების „საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერის" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერის" კომისიის წევრი;

● ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა" ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერის" კომისიის წევრი;

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი.

**ქვემოთ ჩამოთვლილია ამ კომისიების ფარგლებში მხარდაჭერილი განხორციელებული პროექტები. მათ შორისაა:**

11 საერთაშორისო ფესტივალი, კერძოდ:

● „შავი ზღვის ჯაზ - ფესტივალი", ორგანიზატორი შპს ისთერნ პრომოუშენს. ფესტივალის ჩატარების თარიღი - 28-30 ივლისი;

● საესტრადო მუსიკის ფესტივალი - ბიძინა კვერნაძე 95. ორგანიზატორი - ა(ა)იპ ქართული მუსიკის ცენტრი. ჩატარების თარიღი 29 ივლისი;

● საერთაშორისო ფესტივალი „სამბა - პროჯექტ ჯორჯია", ორგანიზატორი ა(ა)იპ სამბა პროჯექტ ჯორჯია. ჩატარების თარიღი 19 აგვისტო;

● ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „ზოული", ორგანიზატორი შპს გურული პროჯექტი. ჩატარების თარიღი -17–21 აგვისტო;

● მე 15 საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები", ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ ალიანსი. ჩატარების თარიღი-24-25 აგვისტო;

●„შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია", ორგანიზატორი-ა(ა)იპ „ივერ-კლასიკი". ჩატარების თარიღი-20 სექტემბერი-02 ოქტომბერი;

● „შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“, ორგანიზატორი ა(ა)იპ ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა“. ჩატარების თარიღი 30 სექტემბერი - 08 ოქტომბერი;

● ფესტივალი „თეატრი შენს ეზოში“, ორგანიზატორი-შპს ლ შ თ ლ. ჩატარების თარიღი 15 სექტემბერი - 20 ოქტომბერი.

● „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალი“, ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ ალტერნატივა. ჩატარების თარიღი 20 – 22 ოქტომბერი;

*გეგმაშია:*

● ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, ორგანიზატორი ა(ა)იპ პროექცია. ჩატარების თარიღი 13 – 18 ნოემბერი;

● საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“, ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ პორტალი. ჩატარების თარიღი 19 – 26 ნოემბერი;

● დაფინანსდება კონკურსის წესით შერჩეული არანაკლებ 15 ინიციატივა, თითოეული არაუმეტეს 10 000 ლარით

**საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 17 პროექტი, კერძოდ:**

● „აჭარის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება“ ;

● პროექტი „პროლოგი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა დამსახურებულ ბათუმელზე, ლუო ქაჯაიაზე ვიდეო ისტორიის გადაღება.

● პროექტი მხატვრულ დოკუმენტური ფილმი „სიყვარულის კოქტეილი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის, ხმის დამუშავება ფერის კორექცია და საბოლოო მონტაჟი.

● პროექტი „მუსიკალური სპექტაკლი“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართული საბავშვო მუსიკალური სპქტაკლი, სადაც გაერთიანდა 80 - მდე სხვადასხვა ასაკის ბავშვი და მსახიობები. დაიდგა სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

● პროექტი „კინო“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა კინო ჩვენებები. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა იხილონ ახალი ქართული კინოპროდუქცია. დაინტერესებულ სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა გამოცდილმა სპეციალისტმა, კინოჩვენების, შემდეგ მოეწყო ფილმების განხილვები.

● პროექტი „წუთისოფელი“. განხორციელდა შემეცნებითი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. პროექტის ფარგლებში მთხრობელმა მაყურებელს უამბო საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. „ქართული ხმების“ ვირტუოზული შესრულებით მოისმინეს ქართულ ხალხური სიმღერა, საგალობლები.

● პროექტი „კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო“.

●პროექტი „აია“/„ I “. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მოღვაწე მუსიკოს – შემსრულებლებმა. ასევე მოწვეულნი იყვნენ მხატვრები, რომლებმაც შემოქმედებითი ღონისძიების მსვლელობისას შექმნეს ნახატები.

● პროექტი მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. პროექტის ფარგლებში ბათუმში პირველად განხორციელდება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. მუშაობის პროცესში საშუალება მიეცემა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ ამ მნიშვნელოვან პროექტში, რომელიც მათ არამხოლოდ მუსიკალური, არამედ არტისტული მონაცემების გამოვლენასაც შეუწყობს ხელს. ბათუმელ სტუდენტებთან ერთად პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ვილნიუსის მუსიკის აკადემიის სტუდენტები.

● პროექტი „ბათუმი არტ შოუ 2023“ განხორციელდა საფესტივალო კვირეულად.

● პროექტი „გერმანიაში მოღვაწე ქართველთა ხელოვანის ბელა ბერკემერ-მახარაძის შემოქმედებითი საღამო“

● პროექტი „კედელი“. პროექტის ფარგლებში დაიდგმება ვალენტინ კრასნოგოროვის პიესა „კედელი“. განხორციელების ვადა: 1 სექტემბერი - 5 დეკემბერი.

● პროექტი „ქართული თეატრის ამბავი ანუ ...“ სცენაზე გაცოცხლდა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ქართული თეატრის იდუმალი ისტორიები 1783 წლიდან დამთავრებული მე-20 საუკუნის ჩათვლით სცენაზე იდგნენ თეატრმცოდნეები, სუხიშვილები, ეკრანზე ნაჩვენები იქნა მსახიობები, რომლებიც დღეს ქმნიან ქართული თეატრის რეალობას.

● პროექტი „დავით არჩვაძე“. ჩატარდა დავით არჩვაძის სოლო კონცერტი, სადაც გაჟღერდა მომღერლის რეპერტუარში არსებული საქვეყნოდ პოპულარული სიმღერები. ასევე, შესრულდა ქართველი კომპოზიტორთა კლასიკად ქცეული ნაწარმოებები.

● პროექტი „ანსამბლების გაერთიანების კონცერტი - ქალაქური მრავალხმიანობა“ ქ. ბათუმში ჩატრდა 5 ანსამბლის გაერთიანებული კონცერტი, კერძოდ: თეატრალური კვარტეტი, ალილო, შვიდკაცა, ქათული ხმები, ფორტე. შესრულდა სხვადასხვა მუსიკალური კომპოზიციები.

● ქ. ბათუმის მუსიკალურ ცენტრში დავით მაზანაშვილის ბენდისა და ორკესტრის თანხმლებით ჩატარდა არჩილ გოგიტიძის სოლო კონცერტი.

● ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ფესტივალის საზაფხულო კონცერტი „პიტერატურა“. მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ბათუმის ბულვარში ჩატარდა კონცერტი „ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ყოველწლიური ფესტივალის“ ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღო სხვადასხვა მიმდინარეობის 15-მდე მუსიკოსმა. პროექტი განხორციელდა ღია ცის ქვეშ. დასწრება იყო თავისუფალი.

**„მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის:**

● „ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი“;

- „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია“;
- „სასკოლო ოლიმპიადა“;
- „ბათუმი სპორტის ქალაქი“;
- „ქვიშის სახეობების ფესტივალი“;
- „სპორტული ბანაკი“;
- „მხიარული თამაშები“;
- „ველო - მარათონი“;
- „საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
- „ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
- „ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
- „ქუჩის კალათბურთი“;
- „ბათუმის თასი ფეხბურთში“;
- „ქვიშის ჭიდაობა“;
- „მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება“;
- „საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ბათუმის თასი 2023“;
- „მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა“.

**შეხვედრები, პრეზენტაციები თუ ტრენინგები, რომლებსაც ესწრებოდა ანგარიშის წარმდგენი:**

შეხვედრა სახალხო დამცველის წარმომადგენლის ინიციატივით

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებსა და საქართველოში თანასწორობის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე, ასევე, სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა მექანიზმის შემუშავების საკითხებზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თანასწორობის მიღწევის პროცესში კვლავ არაერთი გამოწვევაა, რაც,

ძირითადად, თანასწორობის პრინციპების პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის პრობლემას და საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არსებულ სტერეოტიპებს უკავშირდება. სახალხო დამცველის წარმომადგენლების განცხადებით, არსებულ გამოწვევებთან ეფექტიანი ბრძოლისთვის, არსებითია სახელმწიფოს მხრიდან თანასწორობის დაცვის შესახებ ერთიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავება და საჯარო პირების მხრიდან თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებების გავრცელება.

„სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს პრეზენტაცია.

17 მაისი, 2023წ.

ქალაქ ბათუმის განვითარების ხედვის დოკუმენტის პრეზენტაცია გამართა ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციაზე მომუშავე კომპანია - „სითი ინსტიტუტი საქართველო“-მ.

კომპანიის წარმომადგენლებმა საკრებულოს წევრებს წარუდგინეს და მათთან ერთად განიხილეს ბათუმის განვითარების ხედვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ ღირებულებებსა და მიმართულებებს. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულ ხედვაში გაცხადებულია განვითარების ზოგადი (სტრატეგიული) მიზნები და მუნიციპალიტეტის სამომავლო სურათი იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების საპასუხოდ, რომლებიც გამოვლინდა დარგობრივი კვლევებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის შედეგად.

„World Vision საქართველოს“ პრეზენტაცია.

31 მაისი, 2023წ.

„World Vision საქართველომ“ გამართა პროექტის „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ პრეზენტაცია, რომლის მიზანია COVID -19-ით დაზარალებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერება საქართველოში.

პროექტი მოიცავს საქართველოს 5 რეგიონს და ხორციელდება „World Vision საქართველოს" მიერ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

**ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება**

8 ივნისი, 2023 წ.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) ინიციატივით ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის მიზნით, 8 ივნისს, ფოთის მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, სადაც შესაძლებელი იყო მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, მათ შორის LSG ინდექსის, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით და სხვა.

პროექტი „ადგილობრივ თვითმმართველობებში სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობითი მმართველობის გაძლიერება".

21-23 ივნისი, 2023 წელი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) და USAID -ის „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის" ფარგლებში გაიმართა პროექტის „ადგილობრივ თვითმმართველობებში სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობითი მმართველობის გაძლიერება" ფარგლებში გახსნითი ღონისძიება. პროგრამის მიზანი საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო რეფორმების მხარდაჭერაა.

სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4

საერთაშორისო გამოფენა

07 ივლისი 2023

სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4 საერთაშორისო გამოფენის გახსნას ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად დავესწარი. საშუალება მომეცა გავცნობოდი სამედიცინო აღჭურვილობას, ხელსაწყოებს, სადიაგნოსტიკო აპარატურას და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურას.

ადრეული და დაწყებითი განათლების დამხმარე სასწავლო პროგრამის „ნეიროპლასტიურობა და განათლება“ პროგრამის ხელმძღვანელის და ადრეული განათლების ექსპერტის ნანა გეგელაშვილის პრეზენტაცია.

28 ივლისი, 2023წ.

აღნიშნულ პროგრამას ბავშვის ტვინის ნეიროპლასტიურობაზე დაფუძნებულ განათლების ახალ მიდგომებს და სწავლების ახალ ტექნოლოგიებს უწოდებენ, რომელიც სახალისო, მუსიკალური ანიმაციებით და სხვადასხვა აქტივობებით ეხმარება ბავშვს ვიზუალური და აუდიო, ასევე წარმოსახვითი მეხსიერების და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაში. აღნიშნული პროგრამით უკვე სარგებლობს თბილისის, ბათუმის, თელავის და მესტიის რამდენიმე საბავშვო ბაღი.

ტრენინგი თემაზე: „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა გაძლიერება“.

02 აგვისტო, 2023წ.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ბათუმის საკრებულოს წევრებთან და აპარატის მოხელეებთან „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა გაძლიერების“ თემაზე ტრენინგი გამართა. ტრენინგის პროგრამა შედგენილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის მოხელეებისთვის. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაძლებლობების გაძლიერება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის შესრულების, მისი ანგარიშვალდებულების გაზრდისა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის გაძლიერების კუთხით.

ტრენინგ მოდული შემუშავდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ტრენინგების საჭიროებების შეფასების საფუძველზე. ტრენინგ მოდული ასევე ეყრდნობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმებულ 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის იმ კომპონენტებს, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აქტივობებს.

ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენცია.

07 სექტემბერი, 2023წ.

ბათუმში ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის ყოველწლიური მე-12 ღონისძიება გაიმართა, რომელშიც საქართველო თანათავმჯდომარე ქვეყნის რანგში მონაწილეობს.

ღონისძიებაში წევრი ქვეყნებიდან წარმოდგენილი 50-მდე დელეგატი, ასევე ათას მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში და ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში წარდგენილი დელეგაციების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

შეხვედრა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა (ათა) და ბათუმის მერიის ერთობლივი ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა.

ტრენინგი თემაზე „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება“ და „საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულება“.

07 სექტემბერი, 2023წ.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში გამართული ტრენინგის თემა „მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება“ და „საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულება“ იყო. მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მიმოიხილეს საკრებულოს ძირითადი უფლებამოსილებები, საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები, აღმასრულებლის კონტროლის მექანიზმები, ქონების მართვა-განკარგვა, პროცედურული საკითხები, საკრებულოს წევრების ანგარიშვალდებულების კანონით გათვალისწინებული ფორმები, ამომრჩეველთან კომუნიკაციის თემები და საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულების ინოვაციური მექანიზმები.

სოლიდარობის ცენტრის ორგანიზებული გენდერული ფორუმის რეგიონული შეხვედრა

23-24 სექტემბერი, 2023 წ.

შეხვედრის მიზანი-გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით რეგიონში არსებული გამოწვევების განხილვა იყო. მიმდინარეობისას გამოიკვეთა 2022-2023 წლებში ქალაქში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით განვითარებული დადებითი ტენდენციები, მიღწეული შედეგები და კვლავ არსებული გამოწვევები.

ტრენინგი თემაზე „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“.

27 სექტემბერი, 2023წ.

ტრენინგი ჩაატარა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“. საიამ თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, შეიმუშავა ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია ბათუმის მიმდინარე მოწვევის საკრებულოს მიერ საზედამხედველო მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო. ანგარიშში ასევე, მოცემულია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

*აგრეთვე:*

ღონისძიება „ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის“ ფარგლებში საცხოვრებელი ბინების გადაცემა.

14 სექტემბერი, 2023წ.

ბათუმში მცხოვრები 100 ოჯახისთვის საზეიმო ვითარებაში საცხოვრებელი ბინების გადაცემა. ამ პროგრამის დამსახურებით ასი ბათუმელი ოჯახი თანამედროვე სტანდარტების და სრულად გარემონტებულ კორპუსში იცხოვრებენ. პროგრამით, რომელსაც ბათუმის მერია ახორციელებს, უკვე ბათუმში მცხოვრებმა 180 ოჯახმა ისარგებლა.

თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

31 ოქტომბერი 2023

დავესწარი თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას აჭარის მთავრობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ერთად.

## ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი:

3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის მიძღვნილი ღონისძიებები;

9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

ბათუმობის ღონისძიებები;

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნატალია ზოიძე

31.10.2023 წელი